დმანისის მუნიციპალიტეტის 2024
წლის ბიუჯეტის პროექტის

მოქალაქის გზამკვლევი

სარჩევი

შესავალი 3

რა არის მოქალაქის გზამკვლევი 3

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები და ბიუჯეტი 4

- თვითმმართველობის ორგანოები 4
- მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები 4
- ადგილობრივი ბიუჯეტი 6

საბიუჯეტო პროცესი 8

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო კალენდარი 11

მუნიციპალიტეტის ფინანსური დოკუმენტები 13

მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური პარამეტრების საპროგნოზო მაჩვენებლები 2024 წლისთვის 17

- შემოსულობები 17

შემოსავლები 19

გადასახდელები 21

ხარჯები 22

დმანისის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები 23

ინფრასტრუქტურის განვითარება 24

დასუფთავება და გარემოს დაცვა 25

განათლება 26

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი 26

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 27

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 30

შესავალი

რა არის მოქალაქის გზამკვლევი

ადგილობრივი თვითმმართველობა არის საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები[1].

მოქალაქეებს აქვთ უფლება ჩაერთოთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტის ფინანსური დოკუმენტები (პრიორიტეტების დოკუმენტი, პროგრამული ბიუჯეტი) იქმნებოდეს მოქალაქეთა უშუალო მონაწილეობითა და აქტიური ჩართულობით. ხელისუფლებისა და მოქალაქეების თანამშრომლობა ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობას და საჯარო მმართველობის გაუმჯობესებას.

იმისათვის, რომ მოქალაქემ შეძლოს საბიუჯეტო პროცესებში ჩართვა, პირველ რიგში, უნდა იცოდეს, როდის იწყება ბიუჯეტზე მუშაობა და თავად რა ფორმით შეუძლია ჩაერთოს ამ პროცესში.

წინამდებარე გზამკვლევი მოქალაქეს საშუალებას მისცემს, გაეცნოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს, იცოდეს, რა საჭიროებების მიხედვით იხარჯება საჯარო ფინანსები და რა გავლენის მოხდენა შეუძლია თავად მას გადაწყვეტილების მიღებაზე. გზამკვლევში მოცემულია დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის ძირითადი პარამეტრებისა და 2024-2027 წლების პრიორიტეტები და დაგეგმილი პროგრამების საპროგნოზო მაჩვენებლები.

ამასთან, გზამკვლევში წარმოდგენილია საბიუჯეტო პროცესისა და ბიუჯეტის ეტაპების შესახებ ინფორმაცია, რაც მოქალაქეებს საშუალებას აძლევს იცოდნენ, როდის იწყება მუნიციპალიტეტში მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტზე მუშაობა და რა დროს იქნება უკეთესი და ეფექტური მისი ჩართულობა.

[1] საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 2014 წ., მუხლი 2, პუნქტი 1.

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები და ბიუჯეტი

იმისათვის, რომ ბიუჯეტირების პროცესში ჩავერთოთ და მომავალი წლის ბიუჯეტიდან ჩვენთვის მნიშვნელოვანი საკითხების დაფინანსება მოვითხოვოთ, პირველ რიგში, უნდა ვიცოდეთ, თვითმმართველობის რომელ ორგანოს როდის და რა საკითხებზე უნდა მივმართოთ და რის გაკეთება შეუძლია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში.

➢ თვითმმართველობის ორგანოები

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მეშვეობით[2].

- **საკრებულო** - წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც *ანგარიშვალდებულია მოსახლეობის წინაშე;*
  საკრებულო კოლეგიური ორგანოა, სადაც გადაწყვეტილებები ხმათა უმრავლესობით მიიღება, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

- **მერი** - აღმასრულებელი ორგანო და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც *ანგარიშვალდებულია მოსახლეობისა და საკრებულოს წინაშე;*
  - ✓ ***მუნიციპალიტეტის* მერია** არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსადმი დაქვემდებარებული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს მერის უფლებამოსილების განხორციელებას.

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლება უზრუნველყოფს საკრებულოს გადაწყვეტილებათა აღსრულებას, სხვადასხვა პროგრამების განხორციელებას და მოსახლეობისთვის სერვისების მიწოდებას. თავის მხრივ, კი საკრებულოს უფლებამოსილებას წარმოადგენს აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის რეგულირება და კონტროლი. საკრებულო კონტროლს უწევს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, ისმენს და აფასებს თანამდებობის პირთა საქმიანობის ანგარიშებს.

➢ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებია[3]:

- *ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მოწყობა/მოწესრიგება:*

---

[2] საქართველოს კონსტიტუცია 1995 წ. მუხლი 74, პუნქტი 1.

[3] ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, 2014 წელი, მუხლი 16.

- ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია;
- სოფლების წყალმომარაგება (ქალაქების წყალმომარაგებას უზრუნველყოფს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია)
- ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემის განვითარება;
- მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება;
- გარე განათება;
- საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობა - სკვერები, პარკები;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ხელშეწყობა;
- სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტების ადაპტირება;

❖ *სკოლამდელი განათლება:*
- საბავშვო ბაღების მართვა;
- საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა;

❖ *გარემოს დაცვა:*
- მუნიციპალური ნარჩენების მართვა;
- ქუჩებისა და საზოგადოებრივი ობიექტების დაგვა-დასუფთავება;
- ტერიტორიის გამწვანება;
- მიუსაფარ ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა - პოპულაციის მართვა;

❖ *სპორტი და კულტურა:*
- სპორტული და კულტურული სკოლისგარეშე დაწესებულებების ხელშეწყობა;
- ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება;
- მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა;
- ბიბლიოთეკების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზებისა და კულტურის ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა;
- სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა;
- ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია;

❖ *სოციალური სფერო:*
- უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია;

- ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტების, საჯარო თავშეყრის ადგილებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის სათანადოდ ადაპტირება და აღჭურვა;
- ბავშვის საჯარო სივრცეში დაცვის, საჯარო ღონისძიებაში მონაწილეობის პრევენციული და შესაბამისი რეაგირების ღონისძიებების განხორციელება.

ამასთან, მუნიციპალიტეტს საკუთარი ინიციატივით შეუძლია ისეთი ღონისძიებების გატარება, როგორიც არის:

- ტურიზმის განვითარება;
- სოციალური დახმარება და ჯანმრთელობის დაცვა;
- ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა;
- ბავშვის დაცვა და მხარდაჭერა;
- მასობრივი სპორტის ხელშეწყობა;
- საზოგადოებრივი განათლებისა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა;
- ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენცია, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა;
- ინოვაციური განვითარების მხარდაჭერა და სხვა.

➢ ადგილობრივი ბიუჯეტი

ტერმინი „ბიუჯეტი“ ინგლისური სიტყვა „Budget”-ისგან მოდის და ტყავის ჩანთას, საფულეს ან ტომარას ნიშნავს.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით ბიუჯეტი არის საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი ორგანოების მიერ.

მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებების განხორციელების მთავარი ინსტრუმენტი ადგილობრივი ბიუჯეტია.

- ყველა მუნიციპალიტეტს აქვს საკუთარი დამოუკიდებელი ბიუჯეტი, რომლის შემუშავებასა და განკარგვაზე პასუხისმგებელია ადგილობრივი ხელისუფლება.

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დამოუკიდებელია როგორც სხვა მუნიციპალიტეტის, ისე ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტებისგან;
- მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი შემოსულობები (სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ფინანსური სახსრები);
- თვითმმართველი ერთეულის ხელისუფლება ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას საკუთარი ფინანსების ხარჯვაზე;
- საქართველოს ცენტრალურ და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებებს უფლება არა აქვთ, ჩაერიონ მუნიციპალიტეტის ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებებში (საბიუჯეტო კოდექსი).

მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური დოკუმენტებია:

- ✓ საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი;
- ✓ საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა;
- ✓ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი (დანართებით: პროგრამული ბიუჯეტის დანართი, კაპიტალური ბიუჯეტის დანართი და ა(ა)იპ[4]-ების დანართი)

[4] **ა(ა)იპ** – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

საბიუჯეტო პროცესი

ადგილობრივი თვიმმართველობის საბიუჯეტო პროცესი ორ წელსა და ორ თვეს მოიცავს. მუნიციპალიტეტში მომდევნო წლის ბიუჯეტზე მუშაობა 10 თვით ადრე - 1 მარტიდან იწყება და საბიუჯეტო წლის დასრულებიდან 4 თვეში - 1 მაისამდე სრულდება, ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცებით.

ბიუჯეტირების ეტაპები



ბიუჯეტზე პასუხისმგებლობა თვითმმართველობის აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებს შორის შემდეგი სახით არის გადანაწილებული.



ბიუჯეტის პროექტის მომზადება და წარდგენა:

- ✓ 1 მარტს მუნიციპალიტეტის მერი გამოსცემს ბრძანებას საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტზე მუშაობის დაწყების თაობაზე;
- ✓ ბრძანების თანახმად პრიორიტეტების დოკუმენტზე მუშაობს მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც არიან მერი, მერის მოადგილე, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი და სხვა დაინტერესებული პირები;
- ✓ პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვერსიას სამუშაო ჯგუფი 15 აგვისტომდე წარუდგენს მერს. შემდეგ კი დოკუმენტის გადამუშავება ხდება;
- ✓ მერმა ბიუჯეტის პროექტი და საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი საკრებულოს უნდა წარუდგინოს არაუგვიანეს 15 ნოემბრისა.

ბიუჯეტის პროექტის განხილვა:

- ✓ საკრებულოს აპარატმა უნდა გამოაქვეყნოს ცნობა, რომელშიც მითითებული იქნება საკრებულოს ის კომისიები, რომელსაც გადაეცათ პროექტები განსახილველად, კომისიებსა და ფრაქციებში პროექტის განხილვის ვადები, კომისიებისა და ფრაქციების ადგილსამყოფელი და სხდომების გრაფიკი, პროექტების საკრებულოს სხდომაზე გატანის დრო, საკრებულოს აპარატის მისამართი, სადაც შეიძლება წარდგენილი იქნეს მოსაზრებები პროექტთან დაკავშირებით, მოსაზრებების წარდგენის ვადა;
- ✓ საკრებულოს აპარატი ბიუჯეტის პროექტი წარდგენიდან 5 დღის ვადაში უზრუნველყოფს ფინანსური დოკუმენტების გამოქვეყნებას საჯარო განხილვისთვის;
- ✓ პრიორიტეტების დოკუმენტსა და ბიუჯეტის პროექტს განიხილავენ საკრებულოს კომისიები და ფრაქციები და ამზადებენ თავის რეკომენდაციებს, რომელსაც განიხილავს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია და ამზადებს საბოლოო დასკვნას, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს;
- ✓ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვთ წინასწარი ნებართვის გარეშე დაესწროს საკრებულოს, საკრებულოს კომისიის სხდომებს.
- ✓ საკრებულოს მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს საკრებულოს თავმჯდომარე წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს არაუგვიანეს 25 ნოემბრისა;
- ✓ მერი ბიუჯეტის პროექტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტს საკრებულოს შენიშვნებზე დასკვნასთან ერთად (რომელშიც აღინიშნება თითოეული შენიშვნა და ამ შენიშვნის მიღების ან უარყოფის დასაბუთება) არაუგვიანეს 10 დეკემბრისა წარუდგენს საკრებულოს;
- ✓ ბიუჯეტის პროექტის მეორე წარდგენის შემდეგ საკრებულოში იწყება ბიუჯეტის პროექტის განხილვა (გამოქვეყნებიდან არაუადრეს ერთი კვირისა);
- ✓ საკრებულო ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტს;

ბიუჯეტის შესრულება და ანგარიშგება:

- ✓ საბიუჯეტო წლის 1 იანვარიდან იწყება ბიუჯეტის ხარჯვა;
- ✓ ბიუჯეტის შესრულებაზე პასუხისმგებელია აღმასრულებელი ორგანო;
- ✓ ბიუჯეტში წლის განმავლობაში რამდენჯერმე შეიძლება შევიდეს ცვლილება, რომელსაც საკრებულო ამტკიცებს;
- ✓ მერია ყველი კვარტლის დასრულებიდან 1 თვის ვადაში ამზადებს კვარტალური შესრულების ანგარიშს და აგზავნის საკრებულოში;
- ✓ საბიუჯეტო წლის დასრულებიდან 2 თვეში მერიამ უნდა მოამზადოს ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში და 1 მარტამდე წარუდგინოს საკრებულოს;
- ✓ ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის მისი წარდგენიდან 10 დღის ვადაში უნდა გამოქვეყნდეს;
- ✓ საკრებულომ უნდა განიხილოს ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიში და 1 მაისამდე დაამტკიცოს ან არ დაამტკიცოს.

ბიუჯეტირების პროცესი სამივე ფაზაში **თქვენი, როგორც მოქალაქის** ჩართულობა უმნიშვნელოვანესია. ამ პროცესში კი სხვადასხვა მექანიზების საშუალებით შეგიძლიათ ჩაერთოთ. კერძოდ,

პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადება **1 მარტიდან - 15 ნოემბრამდე**	• თქვენს დასახლებაში არსებული პრობლემების შესახებ მერიისა და საკრებულოსთვის ინფორმაციის მიწოდება • ინიციატივების დაყენება • პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით ჩატარებულ გამოკითხვებში მონაწილეობა • დისკუსიებსა და სხვადასხვა საჯარო შეხვედრებზე დასწრება
ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება 15 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე	• ბიუჯეტის საჯარო განხილვებში მონილეობა; • რეკომენდაციების მიწოდება; • საკრებულოს კომიტეტების სხდომაზე დასწრება • საკრებულოს სხდომაზე დასწრება
ბიუჯეტის შესრულება / ანგარიშგება **1 იანვრიდან**	• ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგი; • ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა; • ბიუჯეტის შესრულების შესახებ საკრებულოში განხილვებში მონაწილეობა; • მერის მიერ წლიური ანგარიშის წადგენაში მონაწილეობა და შეკითხების დასმა;

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო კალენდარი

	პერიოდი	**საბიუჯეტო აქტივობა**
	1 მარტს	პრიორიტეტების დოკუმენტზე მუშაობის დაწყება
	მარტი	მუნიციპალური სამსახურების კოორდინაციის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა
	15 ივლისი	დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრების მიწოდება ფინანსთა სამინისტროს მიერ
	15 ივლისიდან	საფინანსო ორგანო გაიანგარიშებს შემოსულობებისა და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლებს და

ბიუჯეტის მომზადება		იწყებს შესაბამის პროცედურებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის შესადგენად.
	15 აგვისტომდე	სამუშაო ჯგუფი ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვარიანტს, რომელსაც იწონებს მუნიციპალიტეტის მერი
	არაუგვიანეს 15 სექტემბრისა	მუნიციპალური სამსახურები ამზადებელ მომავალი წლისთვის მათი სამსახურის აქტივობების შესაბამისად ბიუჯეტს და განსახილველად წარადგენენ საფინანსო სამსახურში
	არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა	მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახური 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის წინასწარ ვარიანტს განსახილველად წარუდგენს მერის ბრძანებით შექმნილ სამუშაო ჯგუფს
	არაუგვიანეს 5 ოქტომბრისა	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აცნობებს მიზნობრივი ტრანსფერის საპროგნოზო პარამეტრებს და გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს
ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება	არაუგვიანეს 15 ნოემბრისა	მერი საკრებულოს წარუდგენს ბიუჯეტის პროექტს და პრიორიტეტების დოკუმენტს
	20 ნოემბრისთვის	ბიუჯეტის პროექტის საკრებულოში შეტანიდან 5 დღეში ბიუჯეტის პროექტის ქვეყნდება საჯარო განხილვისთვის
	არაუგვიანეს 25 ნოემბრისა	შენიშვნების არსებობის შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარე ბიუჯეტის პროექტს შენიშვნებით უბრუნებს მერს
	არაუგვიანეს 10 დეკემბრისა	მერი ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტებს წარუდგენს წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულო)

	31 დეკემბრამდე	ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო საჯაროდ იხილავს და იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების თაობაზე. გადაწყვეტილება ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ მიიღება წარმომადგენლობითი ორგანოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით
ბიუჯეტის შესრულება / ანგარიშგება	ყოველ თვის 10 რიცხვისთვის (თებერვალი, მარტი, აპრილი ...)	საფინანსო სამსახური ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში ამზადებს 2024 წლის ანგარიშს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით
	30 აპრილი; 31 ივლისი, 31 ოქტომბერი	საფინანსო სამსახური ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში ამზადებს 2024 წლის ანგარიშს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით
	28 მარტი	საფინანსო სამსახური საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 2 თვისა ამზადებს წლის ბიუჯეტების შესრულების წლიურ ანგარიშებს და წარუდგენს საკრებულოს
	1 მაისი	საკრებულო არა უგვიანეს 1 მაისისა საჯაროდ იხილავს ბიუჯეტების შესრულების წლიურ ანგარიშს და იღებს გადაწყვეტილებას წლიური ანგარიშების დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ

მუნიციპალიტეტის ფინანსური დოკუმენტები

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი არის ადმინისტრაციული ერთეულების განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ; დოკუმენტი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას როგორც გასულ პერიოდზე, ასევე მომდევნო 4 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელ ძირითად პრიორიტეტებსა და პროგრამებზე.

პრიორიტეტების დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას გასულ პერიოდზე ***(მიმდინარე და გასული წლები, მაგალითად, 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია 2022 და 2023 წლების შესახებ)***, ასევე მომდევნო 4 წლის განმავლობაში (***დასაგეგმი 2024 წელი და დასაგეგმის შემდგომი სამი წელი - 2025, 2026 და 2027 წლები)*** მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელ ძირითად პრიორიტეტებისა და პროგრამებზე.



საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის (2009 წ.) თანახმად, **ბიუჯეტი** არის საქართველოს ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების (სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა), გასაწევი გადასახდელებისა *(გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა)* და ნაშთის ცვლილების (წინა წლის დარჩენილი თანხა, რომელიც ვერ დაიხარჯა და მისი გამოყენება ან დაგროვება მოხდება) ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი ორგანოების მიერ.

მერმა საკრებულოს 15 ნოემბერს მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტთან და 2024 წლის ბიუჯეტთან ერთად შემდეგი დოკუმენტები წარუდგინა:

- ბიუჯეტის პროექტის განმარტებითი ბარათი;
- მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის დანართი, სადაც მოცემულია თითოეული პროგრამისა და ქვეპროგრამის აღწერა, მათი მოსალოდნელი შედეგი და შედეგების შეფასების ინდიკატორები (საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებელი, ცდომილების ალბათობა და შესაძლო რისკები);
- კაპიტალური პროექტების დანართი
- ა(ა)იპ-ების დანართი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ფინანსური მონაცემები წარმოდგენილია გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის. მაგალითად, 2024 წელის ბიუჯეტის პროექტში არის ინფორმაცია 2024 წელს დაგეგმილი და გასული 2022 და 2023 წლების ფინანსური მაჩვენებლების შესახებ.

ყველა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს საერთო სტრუქტურა აქვს და რამდენიმე თავისგან შედგება.



- ✓ **პირველ თავში,** რომელიც რამდენიმე მუხლს აერთიანებს, მოცემულია ინფორმაცია ბიუჯეტის ძირითადი ფინანსური პარამეტრების შესახებ. დეტალურად არის განხილული შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილების შესახებ ინფორმაცია.



- **ბიუჯეტის მეორე თავში** მოცემულია პროგრამებსა და ქვეპროგრამების აღწერა და მიზნები, ამასთან ბიუჯეტს ახლავს პროგრამული დანართი, სადაც დამატებით მოცემულია პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო/შუალედური შედეგები და შედეგების შეფასების ინდიკატორები (საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლები), ცდომილების ალბათობა და შესაძლო რისკები;
- **ბიუჯეტის მესამე თავში** კი წარმოდგენილია ინფორმაცია პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამებისათვის გამოყოფილი **ასიგნებების შესახებ** (ასიგნება ნიშნავს ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების გადახდის განხორციელების უფლებამოსილებას). ეს ინფორმაცია მოცემულია გასული, მიმდინარე და დასაგეგმი წლების მიხედვით.

მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური პარამეტრების საპროგნოზო მაჩვენებლები 2024 წლისთვის

❖ შემოსულობები

ადგილობრივი თვითმმართველ ერთეულებს გააჩნიათ როგორც საკუთარი ფულადი სახსრები - საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლები, სახელმწიფო (ან ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან) ბიუჯეტიდან ან სხვა დონორებისგან მიღებული ფინანსური რესურები, ასევე შეუძლია ვალის აღება - ყველაფერი ეს **ბიუჯეტის შემოსულობებს** წარმოადგენს.



ბიუჯეტის შემოსულობები არის ბიუჯეტში შემოსული ფულადი სახსრების ერთობლიობა, რომელსაც მუნიციპალიტეტი იღებს ზემოთ მოცემული 4 ძირითადი წყაროდან.

- **შემოსავლები**: გადასახადები (ქონების გადასახადი და დღგ-დან წილი), გრანტები და სხვა შემოსავლები (ქვემოთ დეტალურად იქნება განხილული სამივე სახის შემოსავალი);
- **არაფინანსური აქტივების კლება** - არის მუნიციპალიტეტის მიერ გასაყიდად გატანილი ქონებიდან მიღებულ ფულად სახსრები.

მუნიციპალიტეტს შემდეგი სახის არაფინანსური აქტივები აქვს:

- ✓ *ძირითადი აქტივები* (შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები და ინვენტარი და სხვა)
- ✓ *არაწარმოებული აქტივები* (მიწა)

როდესაც მუნიციპალიტეტი შენობა-ნაგებობას ან მიწას ყიდის, მას ქონება აკლდება, თუმცა ბიუჯეტში ფული შემოსდის, ამიტომ ქონების გაყიდვიდან მიღებულ თანხებს არაფინანსური აქტივების კლება ჰქვია.

- **ფინანსური აქტივების კლება** - არის ფულად სახსრები, რომელიც მუნიციპალიტეტის მიერ მის საკუთრებაში არსებული ფინანსური რესურსების გამოყენებიდან მიიღება.

  კერძოდ, ფინანსური აქტივებია:
  - ✓ ვალუტა და დეპოზიტები
  - ✓ სესხები (მუნიციპალიტეტის მიერ გასესხებული თანხა)
  - ✓ აქციები და სხვა კაპიტალი

მაგალითად, როდესაც მუნიციპალიტეტს სხვაზე გასესხებული თანხა უკან უბრუნდება, ან წინა წელს დარჩენილი ნაშთის გამოყენებას გეგმას, ამ დროს ფინანსური აქტივი აკლდება, თუმცა ბიუჯეტში ფული შემოდის.

- **ვალდებულებების ზრდა** - არის ფულადი სახსრები, რომელიც მუნიციპალიტეტს ვალის აღების შედეგად აქვს.

  კერძოდ, ვალდებულებებია:

  საგარეო ვალი

  საშინაო ვალი

დმანისის მუნიციპალიტეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 2024 წლისთვის 19 988 800 ლარია, რაც მთლიანად შემოსავლები, მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი არც ქონების გაყიდვა და არც სესხის აღება. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელა 2024 წლის განმავლობაში გაიზრდება, რადგან 2023 წელს დარჩენილი ნაშთისა და ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერების ასახვა მოხდება ბიუჯეტში. დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელებულ ცვლილებებს კორექტირებული, ანუ დაზუსტებული ბიუჯეტი ეწოდება.



შემოსავლები

მუნიციპალიტეტის შემოსულობების მთავარი წყაროა შემოსავლები. გადასახადები: ქონების გადასახადი, დღგ-დან მუნიციპალიტეტის წილი;

- ✓ გრანტები: საერთაშორისო ორგანიზაციებისგან მიღებული გრანტები; სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები: მიზნობრივი, კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერები;
- ✓ სხვა შემოსავლები: რენტა; პროცენტი; სხვადასხვა მოსაკრებლები; ჯარიმები და საურავები

2024 წლის პროგნოზით დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები იქნება19 988,8 ათასი ლარი, აქედან გადასახადებიდან 17 197 600 ლარის შემოსვლა იგეგმება (მთელი შემოსავლების 80%).



აღსანიშნავია, რომ შემოსავლების მაჩვენებელი 2024 წლის განმავლობაში გაიზრდება, რადგან დაემატება ცენტრალური ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები, ამ დროისთვის მხოლოდ მიზნობრივი ტრანსფერია ბიუჯეტში გათვალისწინებული 179 200 ლარის ოდენობით.

სხვა შემოსავლებიდან მობილიზებული თანხები ბიუჯეტის შემოსავლები 13%-ია.

გადასახდელები

ადგილობრივი ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა **ბიუჯეტის გადასახდელებს** წარმოადგენს.

მუნიციპალიტეტის გადასახდელების 4 წყაროა:



- **ხარჯები**: ყოველწლიურად გასაწევი ხარჯები: მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა ხელფასები, საოფისე მასალებისა და ინვენტარის შეძენა, ა(ა)იპ-ების დაფინანსება, აღებული სესხის პროცენტის დაბრუნება, სოციალური უზრუნველყოფა;
- **არაფინანსური აქტივების ზრდა** - ქონების შეძენა, რეაბილიტაცია; კაპიტალური პროექტების განხორციელება; როდესაც მუნიციპალიტეტი რაიმე სახის ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებს, ან 500 ლარზე მეტი ღირებულების ტექნიკას ყიდულობს, არაფინანსური აქტივები ეზრდება.
- **ფინანსური აქტივების ზრდა** - როდესაც მუნიციპალიტეტი სესხს გასცემს, ან შპს-ს აფინანსებს, ან დეპოზიტზე დებს თანხას. ამ ოპერაციების შედეგად მუნიციპალიტეტის ფინანსური აქტივები იზრდება;
- **ვალდებულებების კლება** - მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალის ძირითადი თანხის დაფარვა.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლით გადასახდელები 19 988 800 ათასი ლარია, აქედან 15 906 200 ლარი ხარჯებია, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდა კი - 4 026 000 ლარია, ასევე 55 600 ლარი წინა წლებში აღებული ვალის ძირითადი თანხის დაფარვას მოხმარდება. ქვემოთ მოცემულია გადასახდელების გრაფიკული სურათი.



ხარჯები

მუნიციპალიტეტის ხარჯები შემდეგ ძირითად კატეგორიებად იყოფა: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, პროცენტი, სუბსიდიები, გრანტები, სოციალური უზრუნველყოფა და სხვა ხარჯები.

„საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ ფინანსთა მინისტრის ბრძანებით #99 (05.04. 2019 წელი) განსაზღვრულია, თუ რას უნდა მოიცავდეს თავად ეს კატეგორიები.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ხარჯები შეადგენს 15 906 200 ლარს.



დმანისის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები

დმანისის მუნიციპალიტეტს 2024 წლის ბიუჯეტის პროექტისა და 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მიხედვით 6 პრიორიტეტული მიმართულება აქვს განსაზღვრული:

- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (პროგრამული კოდი 0100);
- ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 0200);
- დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 0300);
- განათლება (პროგრამული კოდი 0400);
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 0500);
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 0600);



ინფრასტრუქტურის განვითარება

2024 წლის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ბიუჯეტში გათვალისწინებულია 4 954 900 ლარი.

პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, კომუნალური ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, დასასვენებელი პარკების და საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა:

დასახელება	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
ინფრასტრუქტურის განვითარება	**4 954,9**	15 955,1	17 713,3	21 531,7
საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	**260.0**	6 891,1	11 500,3	15 953,6

გზების მშენებლობა რეაბილიტაცია	260.0	6 891.1	11 500,3	15 953,6
წყლის სისტემების განვითარება	1000,0	2 006,2	1 153,5	0,0
სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა რეაბილიტაცია	1000,0	2 006,2	1 153,5	,00
გარე განათება	**650.0**	714,9	680,0	680,0
გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადი	600.0	600.0	650.0	650.0
კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში	50.0	114,9	30.0	30.0
ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	**1438.6**	3443,0	2615,0	2615,0
მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია	1088.6	3143,0	2315,0	2315,0
ავარიული ობიექტების შენობების რეაბილიტაცია (ბინათმშენებლობა)	300.0	250,0	250,0	250,0
ბინათმესაკუთრეობათა მონაწილეობა	50,0	50,0	50,0	50,0
კეთილმოწყობის ღონისძიებები	**982.5**	1065,1	0	747,1
საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია	982.5	1065,1	0	747,1
სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ღონისძიებები	194,3	1284,8	1214,5	986,0
საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	429.5	550.0	550,0	550,0

დასუფთავება და გარემოს დაცვა

2024 წელს დასუფთავების და გარემოს დაცვაზე ბიუჯეტში გათვალისწინებულია 2 840 100 ლარი.

დასახელება	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
დასუფთავება და გარემოს დაცვა	**2840,1**	2190,6	2220,6	2220,6
დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2121,0	2130,6	2130,6	2130,6
ა(ა)იპ დმანისის სერვის ჯგუფი	2121,0	2130,6	2130,6	2130,6
კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	**689,1**	30.0	60.0	60.0

უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	**30.0**	30.0	30.0	30.0

განათლება

2024 წელს განათლებაზე ბიუჯეტში გათვალისწინებულია 1 822 600 ლარი

დასახელება	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
განათლება	**1822,6**	**1822,6**	**1822,6**	**1822,6**
სკოლამდელი აღზრდა	**1631,6**	1631,6	1631,6	1631,6
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფუნქციონირება	**1631,6**	1631,6	1631,6	1631,6
პროფესიული განათლების ხელშეწყობა	**191,0**	191,0	191,0	191,0
საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა	**181,0**	181,0	181,0	181,0
პრ0ფესიული სტუდენტთა ხელშეწყობა	**10.0**	10,0	10.0	10.0

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

2024 წელს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პრიორიტეტულ მიმართულებაზე ბიუჯეტში გათვალისწინებულია 2 885 000 ლარი.

პრიორიტეტის/პროგრამების/ქვეპროგრამის /ღონისძიებების დასახელება	**2024 წელი**	**2025 წელი**	**2026 წელი**	**2027 წელი**

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	**2885,0**	**2785,0**	**2785.0**	**2785,0**
სპორტის სფეროს განვითარება	**720,2**	**720,2**	**720,2**	**720,2**
სპორტული სკოლის ხელშეწყობა	580,0	580,0	580,0	580,0
სპორტული ღონისძიებები	**140,2**	**140,2**	**140,2**	**140,2**
კულტურის სფეროს განვითარება	1757,8	1757,8	1757,8	1757,8
კულტურული დაწესებულებების ხელშეწყობა	926,5	926,5	926,5	926,5
სახელოვნებო დაწესებულების ხელშეწყობა	246,8	246,8	246,8	246,8
საბიბლიოთეკო სამსახურის ხელშეწყობა	229,5	229,5	229.5	229,5
კულტურული ღონისძიებები	355.0	355,0	355,0	355,0
რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	200,0	100.0	100.0	100.0
ინიციატივების თანადაფინანსება	2.0	2.0	2.0	2.0
ახალგაზრდობის მხარდაჭერა	160,0	160,0	160,0	160,0
საგამომცემლო საქმიანობა	45,0	45,0	45,0	45,0

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

2024 წელს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფისთვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 1683 500 ლარი

პრიორიტეტის/პროგრამების/ქვეპროგრამების /ღონისძიებების დასახელება	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	**1683,5**	**1693,3**	**1706,2**	**1730,7**
ჯანმრთელობის დაცვა	**118.3**	130.1	143,0	157.5
საზოგადოებრივი ჯანრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	118.3	130.1	143.0	157.5

ა(ა)იპ "დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"				
სოციალური დაცვა	**1565,2**	1563,2	1357.2	1573,2
მძიმე დიაგნოზის მქონე და სხვადასხვა სოციალური ფენის მოსახლეობის სოციალური დაცვა (ავდამყოფთა სოციალური დაცვა)	574,4	579,4	579,4	579,4
ავთვისებიანი სიმსივნითა და C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა ფინანსური მხარდაჭერა	300,0	300,0	300,0	300,0
დიალიზის საჭიროების მქონე პირების დახმარება	24,0	24,0	24,0	24.0
ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით (ცელიაკია) დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით დახმარება	15.0	18,0	18,0	18.0
მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების დახმარება	72,0	72,0	72,0	72,0
მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	15.0	15.0	15.0	15.0
18 წელს გადაცილებულ შშ ქალთა და 18 წლამდე შშ მქონე პირთა სოციალური დაცვა	52.4	52.4	52.4	52.4
მარჩენალდაკარგული,დედმამით ობოლი ბავშვების სოციალური დახმარება	26.0	26.0	26.0	26.0
ბავშვთა/რეაბილიტაციის ქვეპროგრამაში ჩართული 0-18 წლამდე შშმ სტატუსის მქონე არასრულწლოვანი,ბავშვიანი ოჯახებისქირით უზრუნველყოფის 2024 წლის ქვეპროგრამა.	18.0	18.0	18.0	18.0
„ოჯახში ძალადობის აღკვეთის,ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების (ქირით უზრუნველყოფის) ქვეპროგრამა.	18.0	18.0	18.0	18.0

ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის,დღის ცენტრის და ადრეული განვითარებისცენტრში რეგისტრირებული 0-18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვების ყოველთვიურისოციალური დახმარების ქვეპროგრამა	24.0	24.0	24.0	24.0
კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვებიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა.	10.0	12.0	12.0	12.0
ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით საწვავით (სათბობის შეშით ან ბიოსაწვავი, ბრეკეტით") უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამა	64.0	64.0	64.0	64.0
სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონალური, ამბულატორიული დახმარების მუნიციპალური პროგრამა ოპერაციების ხარჯები	500.0	500,0	500,0	500,0
აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე ბავშვების რეაბილიტაციის მხარდაჭერა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა	400.0	400.0	400.0	400.0
აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე ბავშვების რეაბილიტაციის სოციალური დახმარების პროგრამა	20.0	20,0	20,0	20,0
მოქალაქეთა მედიკამენტებით და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა»	80.0	80.0	80.0	80.0
სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანები)	1.0	1.0	1.0	1.0
მზრუნველობა მოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა ა(ა)იპ "დმანისის სათნოების სახლი"	227,0	227,0	227,0	227,0
ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური პროგრამა	148.8	148.8	148.8	148.8

მოქალაქეთა ერთჯერადი დახმარებები (სარეზერვო)				
ხანდაზმულთა შინმოვლისა და ჯანსაღი დაბერების პროგრამა (თანადაფინანსება	30.0	30.0	30.0	30.0
ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების ქვეპროგრამა მათთვის დასაქმებისა და სამეწარმეო უნარების და გენდერულ საკითხებზეცნობიერების გაზრდის გზით.	20.0	25.0	25.0	25.0

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

2024 წელს მმართველობისა და საერთო დანიშნულების ხარჯებისთვის ბიუჯეტში გათვალსწინებულია 5 802 700 ლარი.

პრიორიტეტის/პროგრამების/ქვეპროგრამის /ღონისძიებების დასახელება	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	**5802,7**	**5701,8**	**5927,3**	**6178,8**
საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	**5517.1**	**5471,2**	**5649,7**	**5968,8**
დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1112,0	**1180.2**	**1180.2**	**1180.2**
დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	**4405,1**	**4291.0**	**4469,5**	**4788.6**
სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	0,0	**0,0**	**0,0**	**0,0**
საერთო დანიშნულების ხარჯები	285,6	**230,6**	**277,6**	**210,0**
სარეზერვო ფონდი	150.0	**150.0**	**200.0**	**200.0**
წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანება- ბისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი.	50,0	**0**	**0**	**0**
მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა.	75.6	**70,6**	**67,6**	**0**
მონაწილეობითი ბიუჯეტის მხარდაჭერა	10,0			

		10,0	**10.0**	**10,0**